ვულკანიზმი

გიორგი ხარაზიშვილი

ელ-ფოსტა:giorgi.kharazishvili203@ens.tsu.edu.ge
გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
მისამართი: 0179, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1

ვულკანი (ლათ. Volcanus)-გეოლოგიური წარმონაქმნი, რომელიც შექმნილია დედამიწის ზედაპირზე დედამიწის ქერქიდან ამოფრქვეული ლავის გადაადგილების და გაცივების შედეგად. ვულკანუსი რომაული მითოლოგიით ცეცხლისა და სამჭედლო საქმის მფარველ ღმერთს ეწოდებოდა. განასხვავებენ მოქმედ და ჩამქვრალ ვულკანებს. ბუნებრივი კატასტროფებიდან ვულკანური მოვლენები ყველაზე საშინელი შედეგებით გამოირჩევა. ვულკანური რელიეფი კარგად გამოხატული რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. მათგან თვალსაჩინო ვულკანური კონუსი და კრატერია (ზედა ნაწილზე არსებული წრიული ჩაღრმავება), რომლის შიგნით ვულკანის კერა და ყელი მდებარეობს. მისი დიამეტრი რამდენიმე კილომეტრსაც კი შეიძლება აღწევდეს. ვულკანის ყელი ჩვეულებრივ ვერტიკალური მიმართულებისაა, თუმცა ძალზე საშიშია როდესაც ის მიმართულებას იცვლის და ვულკანი საკუთარი კონუსის ფერდობიდან გამოაფრქვევს ლავას. ვულკანებს გარკვეული კანონზომიერი გავრცელება აქვთ. თითქმის ყველა თანამედროვე და ახალგაზრდა ვულკანები თავმოყრილი არიან ორ ვიწრო ზოლში: 1. წყნარი ოკეანის ცეცხლოვან რგოლში და 2. ხმელთაშუა ზღვის და მისი გავრცელების ზოლში. თუმცა ამათ გარდა არის აღმოსავლეთ აფრიკის ვულკანები და შუაოკეანური ქედების ვულკანები. ამ ორი უკანასკნელი ზოლის გავრცელება, ისევე როგორც წინა ორისა აიხსნება „ახალი გლობალური ტექტონიკის თეორიით“, რომელსაც აქ არ გავეცნობით. საერთოდ კი ვულკანების შესწავლას გეოლოგიისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს და პრაქტიკული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი არიან, ვინაიდან მათთან სხვადასხვა გამადნებებია დაკავშირებული.